



პროგრამის სახელწოდება

აგრარული მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. აგრარული მეცნიერების მაგისტრი აგრონომიაში (0101)
2. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სასურსათო ტექნოლოგიაში (0104)
3. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სატყეო საქმეში (0105)

სწავლების მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს მომზადდეს მაღალკვალიფიციური აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, რომელსაც ექნება აგრარული მიმართულების და შესაბამისი დარგის (აგრონომიის, სატყეო საქმის, სასურსათო ტექნოლოგიების) ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც კურსდამთავრებულს მისცემს ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. მას შეეძლება კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ასევე, შეეძლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება.

აგრონომიის სპეციალობით მიზანია:

მომზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება აგრონომიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; შეეძლება ნიადაგის ნაყოფიერების მართვა და მცენარის კვება; ეცოდინება მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები; აგროეკოსისტემები და მისი ძირითადი მიმართულებები, აგრობიოტექნოლოგიის მიღწევები და მათი გამოყენების შესაძლებლობები; მეცნიერულ მიდგომებზე

დაფუძნებული თესლისა და სარგავი მასალის წარმოება-სერტიფიცირების თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობით მიზანია:

მომზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება საკვების წარმოების ტექნოლოგიის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა; ეცოდინება საკვებ პროდუქტებში შემავალი სხვადასხვა კომპონენტის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებები და ამ ნაერთების მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმებისათვის, მათი განსაზღვრისა და იდენტიფიცირების მეთოდები; საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების მნიშვნელობა. მაგისტრები საფუძვლიანად დაეუფლებიან სურსათის შენახვის მეთოდებს, შენახვის დროს პროდუქტში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ფიზიკურ პროცესებს, ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისა და მასზე მოქმედი ფაქტორების მართვის შესაძლებლობებს.

სატყეო საქმის სპეციალობით მიზანია:

მომზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება სატყეო სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; ეცოდინება ტყის მოვლა - დაცვის, აღდგენა განახლების და ტყითსარგებლობის პრინციპები; შეეძლება ტყის რესურსების მდგრადი მართვის, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და კვლავწარმოებისთვის ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება.

დასაქმების სფეროები

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული ეროვნული სატყეო სააგენტო და მისი ყველა რეგიონალური სამმართველო;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო და მისი ტერიტორიული ადმინისტრაციები;
- სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები;
- ქალაქებისა და სოფლების გამწვანების მუნიციპალური სამსახურები;
- ბოტანიკური ბაღები და სანერგე მეურნეობები;
- აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;

- შეუძლია გახდეს დამსაქმებელი და თვითონ შექმნას ფერმერული მეურნეობა;
- სახელმწიფო/კერძო საკონსულტაციო სამსახურები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის კვალიფიკაცია.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

პროგრამის კომპეტენციები და სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები:

- ექნება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი
- ექნება კრიტიკული ანალიზის და სინთეზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- ექნება თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციის უნარი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე
- ექნება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- ექნება სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი
- ექნება დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი
- შეეძლება სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება
- შეეძლება ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა

დარგობრივი კომპეტენციები

აგრონომიის სპეციალობით:

- შეეძლება ნიადაგის ნაყოფიერების შეფასება და მართვა, ორგანული და მინერალური სასუქების დოზების განსაზღვრა და მათი გავლენის დადგენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხარისხზე და გარემოს დაბინძურებაზე
- ეცოდინება მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეული დაზიანებები და მათი მართვის თეორია, მეთოდოლოგია და მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული მეთოდები
- ეცოდინება ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემების ფუნქციონირება, მცენარეთა ბუნებრივი სელექციისა და ადაპტაციის პრინციპები, ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გამოყვანის თანამედროვე აგრო, ნანო და ბიოტექნოლოგიური კვლევის მეთოდები

სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობით:

- ეცოდინება სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავების და შენახვის, შესაბამისი პროცესების კალკულაციისა და ოპტიმიზაციის მეთოდები
- შეეძლება კვების საწარმოთა ორგანიზება და ამისათვის ბიოტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენება
- შეეძლება კვების საწარმოთა ორგანიზება ბიოტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით
- შეეძლება წარმოებაში პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მექანიზმის დანერგვა და განხორციელება

სატყეო საქმის სპეციალობით:

- ეცოდინება სატყეო პოლიტიკის თანამედროვე მიდგომები, მდგრადი მართვის პრინციპები, მისი პრაქტიკული და თეორიული გამოყენების საკითხები
- შეეძლება დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ტყის მრავალმიზნობრივი სარგებლობისთვის ტყის მართვა და ინვენტარიზაცია
- ეცოდინება ტყის მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეული დაზიანებები და მათი მართვის თეორიული, მეთოდოლოგიური საფუძვლები და მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული მეთოდები

პროგრამის დასრულების შემდეგ აგრონომიის სპეციალობით სტუდენტს

ცოდნა და გაცნობიერება:

- ეცოდინება ნიადაგის მორფოლოგიური, ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რომლებიც პირდაპირ კორელაციაში არიან და განსაზღვრავენ ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების უნარს

- გაცნობიერებული ექნება ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები და მათი გაუმჯობესების მართვის მეთოდები
- ეცოდინება მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა სოფლის მეურნეობაში
- ეცოდინება გენმოდულიციურებული მიკროორგანიზმების გამოყენების სფეროები თანამედროვე ბიოტექნოლოგიებში
- ეცოდინება თესლის, სარგავი მასალისა და ნერგის წარმოების მეცნიერული და პრაქტიკული უახლესი ტექნოლოგიები და მეთოდები
- ეცოდინება მცენარეთა შეჯვარების გენეტიკური პრინციპები და მცენარეთა მოსავლიანობის ზრდის მეთოდები
- ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა მცენარეთა გენომის სტრუქტურული ორგანიზაცია და ფუნქცია, გენომის კვლევის მეთოდები და მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევაში

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეეძლება სავარგულების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესება და რაციონალური გამოყენების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
- შეეძლება ნიადაგის ნაყოფიერების მართვა და დაცვის ღონისძიებების ჩატარება
- შეეძლება მინერალური, ორგანული და ბიოლოგიური სასუქების გამოყენების სქემების შედგენა
- შეეძლება მუტაგენუზის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციაში
- შეეძლება ნიადაგის დამუშავებისა და მელიორაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

დასკვნის გაკეთების უნარი

- შეეძლება სპეციალობის შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნის საფუძველზე საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება
- შეეძლება ექსპერიმენტული მონაცემების და ინფორმაციის მოძიების საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა
- შეეძლება პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება
- შეეძლება დარგში დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით ქართულ და უცხოურ ენებზე როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით

სწავლის უნარი:

- შეეძლება საქმიანობიდან გამომდინარე ცოდნის დამოუკიდებლად გაუმჯობესება

ღირებულებები:

- შეეძლება პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვისი დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, რაც დაკავშირებულია აგრარული სექტორის განვითარებასთან

პროგრამის დასრულების შემდეგ სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობით სტუდენტს

ცოდნა და გაცნობიერება:

- ექნება ცოდნა კვების პროდუქტების ბიოტექნოლოგიის მიმართულებების, კვების პროდუქტების წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების ასპექტებსა და სფეროების შესახებ
- ეცოდინება სურსათის, სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ქიმიური შედგენილობა და ხარისხობრივი მონაცემები
- გაცნობიერებული ექნება საკვები პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის სისტემების პრინციპები;
- ეცოდინება კვების საწარმოების ორგანიზება და მართვა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეეძლება სურსათის, სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ქიმიური შედგენილობის და ხარისხობრივი მონაცემების განსაზღვრა უახლესი თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით
- შეეძლება ცალკეული კულტურების მიხედვით შეარჩიოს შენახვის ოპტიმალური პარამეტრები, გამოიყენოს დამატებითი ღონისძიებები ნაყოფის შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით. გაითვალისწინოს ჯიშური თავისებურების გავლენა შენახვის ხანგრძლივობასა და დანაკარგებზე
- შეეძლება პროცესის წარმართვა ისე, რომ დაცული იყოს ტექნოლოგიური რეგლამენტი, თბური დამუშავების შემთხვევაში მინიმალური ენერგო დანახარჯებით საჭირო შედეგის მიღება, ქიმიური პროცესების უსაფრთხოდ ჩატარება და მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტის მიღება
- შეეძლება ხარისხის კონტროლის HACAP-ის პრინციპების დანერგვას შესაბამისი პროფილის საწარმოში

დასკვნის გაკეთების უნარი:

- შეეძლება კვების პროდუქტების საწარმოს ხარისხის კონტროლის ჩანაწერებისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის მონაცემების საფუძველზე ჩამოაყალიბოს დასკვნა ხარისხის კონტროლის ქმედითუნარიანობისა და საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის განახლების აუცილებლობის შესახებ

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიაში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით
- შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; საინფორმაციო ბაზებთან, პროგრამებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, მუშაობა ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად; კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანი დოკუმენტების/ანგარიშების შედგენის მიზნით

სწავლის უნარი :

- შეეძლება კვების პროდუქტების საწარმოში პრაქტიკული საქმიანობისას შემენილი ცოდნის და პრაქტიკული უნარების სრულყოფა და მუდმივი განახლება
- შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვას

ღირებულებები:

- მაგისტრს ექნება კვების პროდუქტების ტექნოლოგიის საქმიანობასთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა

პროგრამის დასრულების შემდეგ სატყეო საქმის სპეციალობით სტუდენტს

ცოდნა და გაცნობიერება:

- ეცოდინება ტყეთმცოდნეობისა და მეტყევეობის ძირითადი პრინციპები
- ეცოდინება სატყეო პოლიტიკის თანამედროვე მიდგომები, მდგრადი მეტყევეობის კონცეფცია და რეალიზაციის ინსტრუმენტები
- გაცნობიერებული ექნება სატყეო დარგის სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა და თეორიები
- ეცოდინება ტყეებისა და ტყის ეკოსისტემების ცალკეული კომპონენტების სამართლებრივი რეგულირების საკითხები

- ევოლინება დამოუკიდებელი სერტიფიცირების სისტემები, სქემები და მათი მიდგომების თავისებურებები
- ევოლინება ტყის არაპირდაპირი გამოყენების სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზა
- ევოლინება ტყისა და ურბანული გამწვანების მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეული დაზიანებები და მათი მართვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები
- ევოლინება მცენარეთა დაცვის პრაქტიკული და ლაბორატორიული საკითხები
- გაცნობიერებული ექნება მავნე ორგანიზმების ზემოქმედების მიერ შექმნილ ეკოლოგიურ საფრთხეებზე

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეეძლება სატყეო კანონმდებლობის სამართლებრივი რეგულირების ობიექტების (ტყეებისა და ტყის ეკოსისტემების ცალკეული კომპონენტების) ზუსტად განსაზღვრა და მათი დაცვის სამართლებრივი ფორმების სწორად შერჩევა
- შეეძლება გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ეკოლოგიური ექსპერტიზის ამოცანების შესრულება
- შეეძლება კონკრეტული მოცემულობის მიხედვით დამოუკიდებლად განსაზღვროს სერტიფიცირების მისაღები სისტემა და სქემები
- შეეძლება არამერქნული რესურსების ნედლეულის მდგრადი გამოყენების პრინციპების შესაბამისად სარგებლობა
- შეეძლება მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა ინტეგრირებული დაცვის მეთოდებით
- შეეძლება მცენარეთა დაავადებათა გარკვევა და დიაგნოსტიკა;
- შეეძლება მავნე ორგანიზმებისაგან მიყენებული ზარალის აღრიცხვა და მათთან ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;
- შეეძლება ნიადაგის ნიმუშების საანალიზოდ აღება საველე პირობებში, საანალიზოდ მომზადება და ლაბორატორიული კვლევის შედეგების გაშიფვრა.

დასკვნის უნარი:

- შეეძლება ტყეში მიმდინარე პროცესების გაანალიზება და შესაბამისი დასკვნის მომზადება
- შეეძლება ტყის სერტიფიცირების აუდიტის თუ მონიტორინგის ეტაპებზე, სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებული სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნების და პროგნოზების გაკეთება
- შეეძლება ტყეების მდგრადი მართვის თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით, მდგომარეობის შეფასება, პრიორიტეტების განსაზღვრა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი
- შეეძლება ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება ანგარიშების მომზადება და წარდგენა

სწავლის უნარი:

- შეეძლება საქმიანობიდან გამომდინარე ცოდნის დამოუკიდებლად გაუმჯობესება.

ღირებულებები:

- შეეძლება პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვისი დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, რაც დაკავშირებულია ტყის მდგრად მართვასთან, ტყის სერტიფიცირების მექანიზმის გამოყენებით

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი. ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- აგრარულ მეცნიერებათა საერთო მოდული
- სპეციალობის სავალდებულო განათლება
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა
- პრაქტიკული განათლება
- თავისუფალი არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.